



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თავის პროგნოზი

2026

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ



ინფლაცია

იანვარში წლიურმა ინფლაციამ 4.8% შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით ფასების საერთო დონემ 1.2%-ით მოიმადა. 2025 წლის მეორე კვარტლიდან სამიზნე 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი ინფლაცია სურსათით არის გამოწვეული, რაც თავის მხრივ მეცნილად საბაზო ეფექტსა და ეგზოგენურ ფაქტორებს უკავშირდება. კერძოდ, გასული წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულზე ფასების მატება, ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად, სურსათის ინფლაციას დამატებით ზრდიდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ბაზარზე¹ ბოლო თვეებში სურსათის ფასების ინდექსი თვიურ წრეში მცირდება, თუმცა გარკვეული კატეგორიის საქონელზე კვლავ მზარდი ტენდენცია ნარჩუნდება.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, სტაბილურობას ინარჩუნებს. იანვარში საბაზო ინფლაციამ 2.1% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია 1.2% (მნიშვნელოვანი წვლილები)

წლიური ინფლაცია 4.8% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები



იანვარში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში აღსანიშნავი პომიდორის და კიტრის გაძვირება იყო, რამაც თვის ინფლაციაში 0.25 პპ წვლილი შეიტანა. ამის საპირისპიროდ, თვითმფრინავის ბილეთის გაიაფებამ თვის ინფლაცია 0.07 პპ-ით შეამცირა.

წლიურ წრეში, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად კვლავ სურსათის გაძვირება იასახება. იანვარში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციამ 10.6%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 3.55 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს აქვს (0.95 პპ). ასევე ძროხის ხორცის, იმერული ყველის, კარტოფილისა და შოკოლადის გაძვირება ინფლაციაზე ჯამში 1.14 პპ-ს შეადგენდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 8.3%-იანი ინფლაცია, რამაც ინფლაცია 0.68 პპ-ით გაზარდა.

ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ინტერნეტის გადასახდელი მოქმედებდა² (-0.12 პპ). ამავდროულად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარკვეული პროდუქტების ფასების წლიური შემცირება მთლიან ინფლაციას ამცირებს.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


იანვარში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 7.0% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას ყველაზე მეტად პურის, ძროხის ხორცისა და ყველის ფასები განაპირობებს (ჯამში 3.4 პპ-ით). მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელს (3.0%) უტოლდება.

¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>


² ამ შემთხვევაში ინტერნეტის გაიაფება ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს.

შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 5.5% იყო. ამ კატეგორიაში ყველაზე დიდი წვლილი ზეთზე, კარცოფილსა და შოკოლადზე (ჯამში 2.4 პპ) მოდიოდა. იმპორტირებული პროდუქტების ფასების წლიურმა ცვლილებამ -0.1% შეადგინა. იმპორტირებული პროდუქტების დეფლაციაზე ყველაზე მეტად საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაიაფება მოქმედებდა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	იან26/დეკ25		იან26/იან25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.2%	1.2%	4.8%	4.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	2.9%	1.0%	10.6%	3.6%
სურსათი	30.8%	3.1%	0.9%	10.9%	3.2%
პური და პურპროდუქტები	6.3%	0.2%	0.0%	14.3%	0.8%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.4%	0.1%	9.7%	0.6%
თევზი	0.5%	1.8%	0.0%	20.5%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	3.5%	0.2%	8.6%	0.5%
ზეთი და ცხიმი	2.7%	1.5%	0.0%	8.7%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	5.9%	0.1%	16.9%	0.3%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	12.5%	0.4%	8.8%	0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	2.8%	0.1%	10.2%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.6%	0.0%	1.9%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	0.4%	0.0%	7.5%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	0.1%	0.0%	3.5%	0.2%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	-4.3%	-0.2%	-1.8%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.3%	0.0%	0.0%	0.0%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	0.2%	0.0%	-0.6%	0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	2.4%	0.2%	8.3%	0.7%
ტრანსპორტი	11.4%	0.2%	0.0%	-0.3%	0.0%
კავშირგაბმულობა	3.1%	0.2%	0.0%	-4.6%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	-0.4%	0.0%	-2.5%	-0.1%
განათლება	5.3%	0.0%	0.0%	2.2%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.8%	0.0%	8.1%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	2.9%	0.1%	7.4%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	2.0%	1.2%	7.1%	4.2%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	-2.2%	-0.2%	-2.0%	-0.2%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	0.6%	0.0%	-2.2%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.5%	0.1%	3.0%	0.8%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


დეკემბერში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 8.7 მლრდ ლარით, 14.9%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 15.8%-ით) და 66.9 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი 1.2 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 7.4 მლრდ ლარით (26.9%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 762.2 მლნ ლარით (2.2%) გაიზარდა და 35.0 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, ამ შემთხვევაში წლიურად 1.3 მლრდ ლარის (4.1%), ხოლო წინა თვესთან შედარებით, 0.5 მლრდ ლარის ზრდა (1.5%-ით) დაფიქსირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 6.0%-ს გაუფოლდა. ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.5%-მდე, გაიზარდა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი, მცირედით, 0.04 პპ-ით, 1.8%-მდე, გაიზარდა. რეზიდენტების ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, 0.3 პპ-ით და 10.8% შეადგინა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.2 პპ-ით, 1.8%-მდე, შემცირდა. რეზიდენტების დოლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაზრდილია 0.2 პპ-ით და 2.8%-ი შეადგინა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის პარაშე, ნაპაღი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპაღი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაცია დეკემბერში 0.2 პპ-ით შემცირდა და 47.7% შეადგინა. დეკემბრის ბოლოს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია შემცირდა, 1.8 და 2.1 პპ-ით და შესაბამისად, 61.2% და 36.5% შეადგინა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით, 57.2%-მდე, შემცირდა.

დამოზიდვის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



დეკემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.2 პპ-ით გაიზარდა და წლიურმა მაჩვენებელმა 14.0% შეადგინა. აღნიშნული ძირითადად, უცხოური ვალუტის დაკრედიცების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი 0.5 პპ-ით გაიზარდა 11.6%-მდე, თუმცა ეროვნული ვალუტით დაკრედიცების წლიური ზრდის ტემპი, წინა თვის მსგავსად, 15.8%-ს შეადგენს. მთლიანი სესხების ზრდაში კი 9.0 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 5.0 პპ უცხოური ვალუტის დაკრედიცებამ შეიძინა. მიზნობრიობის ქრილში, დაკრედიცების ზრდის ტემპის ზრდა, დიდწილად, ბიზნესის ციპის სესხებით აიხსნება, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 6.7 პპ-ს შეადგენს.


სასხების წლიური ზრდის ტემპი (წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით შემცირდა და 12.9% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი თითქმის უცვლელად 9.1%-ზე შენარჩუნდა, ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 15.4%-მდე, გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სასხებზე (ნაპალი)




სასხები მიზნობრიობის მიხედვით (წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხებზე (ნაპალი)



დეკემბერში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.6 პპ-ით გაიზარდა და 13.2% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 12.1%-მდე, შემცირდა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 9.4%-ზე შენარჩუნდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით, 7.9%-მდე გაიზარდა.


დეკემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია გაიზარდა 0.5 პპ-ით 42.4%-მდე. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.9 პპ-ით გაიზარდა და 64.5% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.2 პპ-ით შემცირდა და 22.8% შეადგინა. დეკემბერში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 350.8 მლნ ლარით შემცირდა და 581.2 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 51.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (პურსის აფაჟის გამოცხადებით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საბარეო სექტორი

დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან 2.2%-ით გაუარესდა და -1.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 8.8%-ით გაიზარდა 1.8 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 22.5%-ით გაიზარდა და 673.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კონტრიბუციამ დეკემბერში -2.8 პპ შეადგინა.

რაც შეეხება ჯამურად 2025 წელს, იმპორტის წლიურმა ზრდის ცემპმა 9.7% შეადგინა, თუმცა ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით³, წლიურად 6.7%-ით გაიზარდა. მათ შორის, ადგილობრივი მოხმარების იმპორტი 5.7%-ით გაიზარდა. მეორე მხრივ, საქონლის ექსპორტის წლიურმა ზრდის ცემპმა 11.2% შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი (ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით) 3.8%-ით გაუარესდა.


ადგილობრივი ექსპორტის ზრდა 2025 წლის დეკემბერშიც გაგრძელდა. კერძოდ, წლიურ ჭრილში 58.1%-ით გაიზარდა 368 მლნ აშშ დოლარამდე. აღსანიშნავია, რომ საქონლის ჭრილში ზრდა დივერსიფიცირებული იყო. ხოლო, 2025 წელს ჯამურად, ადგილობრივად წარმოებული საქონლის ექსპორტის წლიურმა ზრდამ 12.5% შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (დეკემბერი 2025)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - დეკემბერში საქონლის იმპორტზე ზრდის მიმართულებით სამომხმარებლო და შუალედური მოხმარების პროდუქტები მოქმედებდა, თანაბარი 6.9-6.9 პპ წვლილებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, შემცირებულია საინვესტიციო საქონლის იმპორტი, რომლის უარყოფითმა წვლილმა ზრდაში 5.0 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლიდან გაზრდილია სამკურნალო საშუალებებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი. შუალედური მოხმარების საქონლიდან აღსანიშნავია ნედლი ნავთობის იმპორტის ზრდა. რაც შეეხება საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლებას, ერთჯერადი ფაქტორებით იყო გამოწვეული.


³ 2025 წლის იანვარში შემოღებული ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, დეკემბრის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები შემცირების მიმართულებით მოქმედებდა, კერძოდ, წვლილმა უარყოფითი 6.8 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კი კლებას ძირითადად ერთჯერადი ფაქტორები განაპირობებდა. ასევე შემცირებული იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 23.7%-დან 19.0%-მდე შემცირდა.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად იზრდებოდა ისრაელიდან (ერთჯერადი ფაქტორები) და ჩინეთიდან. ხოლო კლების მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ევროკავშირის ქვეყნებსა და იაპონიას ჰქონდა.

ჩინეთიდან იმპორტი გაზრდილია ძირითადად საინვესტიციო საქონლის ხარჯზე.

აზერბაიჯანიდან იმპორტზე დანახარჯების ზრდა ნავთობპროდუქტებს უკავშირდება, ხოლო ელექტროენერგიის იმპორტი შემცირებულია. სომხეთიდან გაზრდილია სპილენძის მადნების იმპორტი.


აშშ-დან გაზრდილია მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

ასევე, გაზრდილია თურქეთიდან იმპორტზე დანახარჯები, ძირითადად სამშენებლო მასალებისა და სამკურნალო საშუალებების ხარჯზე.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 71.9% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, დეკემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის აირების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა (-3.2 პპ).

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (დეკემბერი 2025)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიურად ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შუალედური (10.4 პპ კონტრიბუციით) და სამომხმარებლო (8.6 პპ კონტრიბუციით) საქონლის ექსპორტის ზრდით. ასევე გაზრდილია საინვესტიციო საქონელი (3.6 პპ კონტრიბუციით).


სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ღვინის, თხილისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი. წინა პერიოდებისგან განსხვავებით, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის წვლილი უარყოფითი იყო (-2.8 პპ).

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი. ასევე გაზრდილია ნახევარგამდარების რეექსპორტი.

საინვესტიციო საქონლის ექსპორტის ზრდა დაკავშირებულია სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის ზრდასთან.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის წილი, დეკემბრის ქვეყნების წილი ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების პოზიტიურმა წვლილმა 1.9 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ფეროშენადნობების, თხილისა და მინერალური სასუქების ქვეყნების ზრდას უკავშირდება. საპირისპიროდ, შემცირებულია ძვირფასი ლითონების მადნების ქვეყნები.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საქსტატი შემოსავლები ძირითადად ჩინეთიდან, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან და აშშ-დან გაიზარდა. თუმცა ქვეყნები ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კლების გამო.

აშშ-ში გაზრდილია ნახევარგამტარების რეექსპორტი, ხოლო არაბთა გაერთიანებულ საემიროებში - ნავთობპროდუქტებისა და ოქროს ქვეყნები.

დეკემბერში საქონლის ქვეყნების უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (28.6%-იანი წილი მთლიან ქვეყნებში) ეჭირა. ძირითადი საქსტატი პროდუქტებიდან გაზრდილია ფეროშენადნობების, ლინის, თხილის, ძვირფასი ლითონების მადნებისა და სპირტიანი სასმელების ქვეყნებიდან მიღებული შემოსავალი.


წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ქვეყნები უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - დეკემბერში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 18.4%-ით, 337.9 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 17.5%-ით, 40.8 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (8.4 პპ) შეიძინა წლიური 18.6%-იანი ზრდით. 15.2%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 2.9 პპ). რუსეთის დადებითი კონტრიბუცია კი დეკემბერში 4.3 პპ -ს გაუცოლდა.

დეკემბერში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.2%), აშშ (18.9%) და რუსეთი (12.9%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (17.4%), გერმანიის (8.9%) და საბერძნეთის (8.2%) მაღალი წილი.


აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ჯამური მონაცემით ფულადი გზავნილები, 8.5%-იანი ზრდის შედეგად, 3.6 მლრდ აშშ დოლარს გაუცოლდა. ზრდაში წამყვანი წვლილი კი ევროკავშირის ქვეყნებმა შეიძინა. კერძოდ, ევროკავშირიდან ფულადი გზავნილები წლიურად 13.4%-ით გაიზარდა (5.7 პპ წვლილი).

ქვეყნების წილი სრულ ფულად გზავნილებში (დეკემბერი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7076-დან 2.6988-მდე (0.3%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 3.1297-დან 3.1596-მდე (1.0%) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6951 და 3.1737 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7029 იყო, მინიმალური კი - 2.6951.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


დეკემბერში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, როგორც თვის, ასევე წლის მთლიანად, გაუფასურდა თურქული ლირა, ხოლო რუსული რუბლი და ევრო გამყარდა. თვიურ დონეზე მცირე გამყარებით ხასიათდებოდა ლარი და სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების⁴ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (დეკემბერი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 3.5%-ით, თვის მთლიანად კი 0.9%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), დეკემბერში წლიურად 0.2%-ით გამყარდა, თვის მთლიანად კი 0.3%-ით გაუფასურდა.


ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან დეკემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, ბელარუსში, რუსეთსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.


⁴ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(დაემატა 2025)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 15 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 5⁵ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით შერეულ-პირშემანის ინდექსი მცირედით გაიზარდა, თუმცა კვლავ დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონსტრუქციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია როგორც თვეურად, ასევე წლიურად. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 501.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 109.6 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის დეკემბერთან შედარებით კი - 300.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 11.3%-ით გაიზარდა, წლიურად კი 17.6%-ით შემცირდა.


საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁶ გარიგებებით ხდებოდა (99.3%) და მთლიანმა ვაჭრობამ 4,586.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 685.7 მლნ აშშ დოლარით, ხოლო თვის წრიულში 1,254.2 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 7.9% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 361.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

⁵ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
⁶ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დეკემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 364.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 669.9 მლნ აშშ დოლარით) და 2,403.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 320.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 584.3 მლნ აშშ დოლარით) და 2,183.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ისე გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე მოდიოდა.


დეკემბერში სავალუტო ფორვარდ⁷ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 155.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრილში - 11.5 მლნ აშშ დოლარით) და 30.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე, ხოლო მცირე შინამეურნეოებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 2.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორის საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 342.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი დაახლოებით 6.2 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეცარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


⁷ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მენეჯმენტისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

დეკემბერში სადებოზიფო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


დეკემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 245.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. დეკემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 65 და 90 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 172.5 მლნ ლარით გაიზარდა და 11,331.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 71.0%-ს კომერციული ბანკების, 11.2%-ს ეროვნული ბანკის, 14.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.0%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად შენარჩუნდა. სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები (6 თვიანი და 1 წლიანი) გაიზარდა, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეცნილად შემცირდა. კერძოდ, დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.1%-ზე შენარჩუნდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.1 - 0.1 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად ორივემ 8.1% შეადგინა. 3 წლიანი და 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.1 - 0.1 პპ-ით 8.9% და 9.3%-მდე შემცირდა, ხოლო 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი 0.06 პპ-ით, 9.85%-მდე, გაიზარდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 4,733.0 მლნ ლარით (წლიურად 1,581.6 მლნ ლარით) 20,616.9 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსის ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (84.8%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 5,109.2 მლნ ლარით (41.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 376.2 მლნ ლარით (10.7%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე როგორც ლარის, ასევე უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში შემცირდა, 0.1 – 0.1 პპ-ით, შესაბამისად 7.5% და 1.6% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ დეკემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 27.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 72.6% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აგრეგატები

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 959.9 მლნ ლარით (11.7%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 9.2 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 3.9 მლნ ლარით (0.1%-ით) გაიზარდა.

დეკემბერში, სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 361.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბრანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 56.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქციები 304.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


დეკემბერში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 995.1 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 2,073.1 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 430.3 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 1,040.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი არ შეცვლილა. დეკემბერში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ფასიანი ქაღალდი და განთავსდა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, დეკემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,040.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 6,100.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


დეკემბერში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 3.4 მლრდ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 2.9 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოწოდებული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

